სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციის როლი ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში

ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმიანობის მიხედვით

2024

ადამიანის უფლებათა ცენტრი

ავტორი: ნინო ჩალაძე
რედაქტორი: ალეკო ცქიტიშვილი

ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი 4

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი 4

ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმიანობა 7

გახმაურებული საქმეები 8

- ხორავას ქუჩის ტრაგედია და გამოძიების ხარვეზები 8
- ვიტალი საფაროვის საქმე 10
- თამარ ბაჩალეიშვილის საქმე 11
- საქართველოს პენიტენციურ სისტემაში 2003-2012 წლებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საქმეები 13
- ყინწვისის საქმე 15
- უკონტროლო მოსმენების საქმეები 16

საერთაშორისო სამართალწარმოება 18

- ვახტანგ მაისაიას საქმე 18
- ომის დროს დაზარალებული პირების უფლებათა დაცვა 20

მნიშვნელოვანი ყოფითი საქმეები 21

დასკვნა 23

შესავალი

ადამიანის უფლებათა ცენტრი ერთ-ერთი პირველი უფლებადამცველი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციაა საქართველოში. დაარსდა 1996 წელს და მრავალი წლის განმავლობაში უწევს უფასო იურიდიულ დახმარებას დაზარალებულებს, აწარმოებს ადამიანის უფლებების დარღვევის მონიტორინგს, აქვეყნებს ანგარიშებს და სხვადასხვა ანალიტიკურ დოკუმენტებს ქვეყანაში არსებული გამოწვევების შესახებ, ჩართულია ნდობის აღდგენის, მშვიდობის მშენებლობის და შერიგების პროცესში. ორგანიზაცია დაკავებულია ქვეყნისთვის სასარგებლო სხვა არაერთი საქმიანობითაც.

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული კამპანიების ფონზე, წლების განმავლობაში ხდებოდა ორგანიზაციების როლის მცდარი განმარტება და მათი დისკრედიტაცია. 2024 წლის 28 მაისს კი საპარლამენტო უმრავლოსობამ მიიღო რეპრესიული კანონი, რომელიც თავისი შინაარსით რუსულია, რადგან მიზნად ისახავს სიტყვის თავისუფლების ჩახშობას და იწვევს სამოქალაქო ორგანიზაციების ისეთივე დევნასა და სტიგმატიზაციას, როგორც ეს რუსეთსა და ბელარუსში მოხდა.

წინამდებარე ანალიტიკური დოკუმენტი მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმიანობის მაგალითზე, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეალური საქმიანობის წარმოჩენას და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გადამწყვეტი მნიშვნელობის ხაზგასმას.

დოკუმენტში აღწერილია სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი და ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმიანობის პრინციპები. განხილულია ცენტრის წვლილი სხვადასხვა გახმაურებულ საქმეში, საერთაშორისო სამართალწარმოებასა თუ მოქალაქეთა მნიშვნელოვან ყოფით სამართლებრივ საკითხებში.

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი

საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ადამიანები საერთო მიზნების მისაღწევად ერთიანდებიან.[1] გაერთიანების თავისუფლება მონაწილეობითი დემოკრატიის ქვაკუთხედს წარმოადგენს.[2] საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა ძირითადად მოიცავს გაჭირვებული ადამიანების მომსახურებას, სოციალური ტრანსფორმაციისთვის კამპანიების ორგანიზებას და ქვეყნის გამოწვევებთან დაკავშირებული პრობლემების

[1] CDL-PI(2024)013; EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUG LA (VENICE COMMISSION) GEORGIA URGENT OPINION ON THE LAW ON TRANSPARENCY OF FOREIGN INFLUENCE issued on 21 May 2024; პარა. 58,65, 69; იხ. ბმული

[2] ODIHR and Venice Commission, CDL-AD(2023)016, Joint Opinion of the Venice Commission and the OSCE/ODIHR on the draft law of Republika Srpska on the Special Registry and Publicity of the Work of Non-Profit Organizations, პარა. 16. იხ. ბმული

გადაჭრის გზების ადვოკატირებას. დემოკრატიულ ქვეყნებში სამოქალაქო ორგანიზაციები მეტად არიან ჩართულნი სოციალურ მომსახურებაში, ჯანდაცვაში, განათლებასა და ხელოვნებაში, ხოლო დემოკრატიზაციის პროცესში მყოფი ქვეყნების ორგანიზაციებს მეტი ჩართულობა უწევთ სიღარიბის აღმოფხვრის, ადამიანის უფლებების დაცვის, ეფექტიანი მმართველობის ჩამოყალიბების, არჩევნების სამართლიანობის უზრუნველყოფის, სამართლის უზენაესობის, თემის განვითარების და კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით. როგორც წესი, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები ცდილობენ გააძლიერონ ქვეყანა იმ ასპექტში, სადაც ხელისუფლება სუსტია.[3]

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ერთი მხრივ, მოქალაქეთა განვითარებაზე ზრუნავენ, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოების წინაშე მოხელეთა ანგარიშვალდებულებას უზრუნველყოფენ. მაგალითად, ერთ-ერთ პირველ ქართულ სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციად არის მიჩნეული მე-19 საუკუნეში დაფუძნებული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელიც მოქალაქეთა განათლების ამაღლებას უწყობდა ხელს.[4]

საქართველოში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნაწილი სამართლებრივ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ მომსახურებას უსასყიდლოდ უწევს ბენეფიციარებს, რომელთა შორისაც არიან: ქალები, ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, დევნილები, უმცირესობები და სხვა მოწყვლადი ჯგუფები. ისინი დიდ როლს ასრულებენ სიღარიბის დაძლევაში, მშვიდობის მშენებლობაში, ადამიანის უფლებათა დაცვაში და სახელმწიფოს დემოკრატიულ განვითარებაში. ზოგიერთი ორგანიზაცია დაკავებულია ქველმოქმედებით, ზოგი - სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით, ზოგი საქართველოს გარემოსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვით და სხვა. ასეთ ორგანიზაციებს მსგავსი პრიორიტეტების მქონე ფონდებისგან, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისგან და დონორებისგან შემოსავლების მოძიება უწევთ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. სამწუხაროდ, საქართველოში არსებული მატერიალური სიდუხჭირიდან გამომდინარე, რთულია ქვეყნის შიგნით საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად საკმარისი ფინანსების მოძიება, ამიტომ უკეთესი გამოსავალი უცხოეთიდან ისეთი გრანტების მოპოვებაა, რომლებიც სწორედ ორგანიზაციის საქმიანობიდან გამომდინარე, ქალების, ბავშვების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ან კონკრეტული ორგანიზაციების ინტერესებში არსებული სხვა ფოკუს ჯგუფების კეთილდღეობისთვის და ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის გაიცემა.

---

[3] თამარ კობერიძე; საუნივერსიტეტო კურსის საკითხავი მასალა სტუდენტებისთვის სამოქალაქო საზოგადოების როლი; გვ. 30; იხ. ბმული

[4] იქვე.

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის დამახასიათებელია ხელისუფლებისთვის მოთხოვნების წაყენება, მათი ქმედებების მონიტორინგი და საკუთარი შეხედულებების შენარჩუნება. დემოკრატიული ქვეყნების შემთხვევაში, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები აკონტროლებენ, რომ ხელისუფლებამ დემოკრატიულ კურსს არ გადაუხვიოს. ხოლო, ავტორიტარულ სახელმწიფოებში ორგანიზაციები დემოკრატიული იდეების განვითარებას უწყობენ ხელს. სწორედ ამიტომ, ხშირად, ასეთი ორგანიზაციები ავტორიტარულ სახელმწიფოებში რეპრესიების მსხვერპლნი ხდებიან. მაგალითად, რუსეთში, ბელარუსსა და აზერბაიჯანში, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობა თანდათან იზღუდებოდა, ბოლოს კი სრულიად აიკრძალა.[5]

უფრო კონკრეტულად, თავდაპირველად უცხოური ფინანსების მოპოვების გამო, რუსეთში ორგანიზაციები „უცხო აგენტებად“ დაარეგისტრირეს. მათ შორის იყვნენ, მაგალითად, მხოლოდ ოჯახში ძალადობის პრევენციაზე და სხვა კონკრეტულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებიც. ამასთან, არც იუსტიციის სამინისტრო და არც სასამართლო დაინტერესებულა ნამდვილად იყვნენ თუ არა ეს ორგანიზაციები უცხოური გავლენის მქონე და მოქმედებდნენ თუ არა სხვა ქვეყნის ინტერესით.[6] უგულებელყოფილი იყო ფაქტი, რომ ეროვნული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრები მუშაობდნენ რუსული საზოგადოების საკეთილდღეოდ, ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მიზნებისთვის.[7]

სამწუხაროდ, ასეთივე რეპრესიული კანონი საქართველოს პარლამენტმაც მიიღო 2024 წლის 14 მაისს.[8] მიუხედავად საზოგადოების უპრეცედენტო და პერმანენტული პროტესტისა, პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტოც დაძლია.[9] კანონი არაერთ პრობლემასთან არის დაკავშირებული.[10] ამასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა განაცხადა, რომ ისინი რუსულ კანონს არ დაემორჩილებიან და საზოგადოების დახმარებას გააგრძელებენ.[11] აღსანიშნავია, რომ კანონის მიღებამდე და მიღების შემდეგ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე ხორციელდებოდა თავდასხმები და ხდებოდა დეზინფორმაციული კამპანიების

---

[5] სამოქალაქო განათლება ყველასთვის; სამოქალაქო საზოგადოება და მონაწილეობა; იხ. ბმული

[6] Ecodefence and Others v. Russia, nos. 9988/13 and 60 others, 135; 14 June 2022; იხ. ბმული

[7] Ecodefence and Others v. Russia, nos. 9988/13 and 60 others, 136; 14 June 2022; იხ. ბმული

[8] CDL-PI(2024)013; EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUG LA (VENICE COMMISSION) GEORGIA URGENT OPINION ON THE LAW ON TRANSPARENCY OF FOREIGN INFLUENCE issued on 21 May 2024; პარა. 7-17; იხ. ბმული; ინტერპრესნიუსი; პარლამენტმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი საბოლოო მოსმენით მიიღო; 14.05.2024; იხ. ბმული

[9] ინტერპრესნიუსი; პარლამენტმა "უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონპროექტზე პრეზიდენტის ვეტო დაძლია; 28.05.2024; იხ. ბმული

[10] ნინო ჩალაძე, ადამიანის უფლებათა ცენტრი; რეპრესიული კანონი და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების სტიგმატიზაცია; იხ. ბმული

[11] სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების განცხადება; რუსულ კანონს არ დავემორჩილებით; 29.05.2024; იხ. ბმული

წარმოება. იყო მცდელობა, სამოქალაქო სექტორის საქმიანობა შეფასებულიყო არასახელმწიფოებრივ საქმიანობად და ქვეყნის ღალატად,[12] რომელიც, თითქოსდა დაკავშირებული იყო ეკლესიის გინებასთან, ლგბტ+ თემის პროპაგანდასთან, „ნაცმოძრაობისთვის“ ძალაუფლების დაბრუნებასთან, პროვოკაციების მოწყობასთან და ა.შ.[13] ასეთი შეფასებები რეალობისგან ძალიან შორს დგას და მაგალითისთვის ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმიანობაც კი ცხადყოფს, თუ რა მნიშვნელობის მატარებელია მოწყვლადი ჯგუფებისთვის და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისთვის საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეუფერხებელი ფუნქციონირება.

ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმიანობა

ადამიანის უფლებათა ცენტრი დაარსდა 1996 წელს და მას შემდეგ ის ჩართულია არაერთ პროექტში, ღონისძიებასა თუ კამპანიაში, რითაც ხელს უწყობს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვას, მშვიდობის მშენებლობას და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებას. ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმიანობა სრულიად გამჭვირვალეა და ყოველწლიური ანგარიშები, მათ შორის, სხვადასხვა წყაროდან მიღებული შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაცია, ცენტრის საიტზე უკვე წლების განმავლობაშია ხელმისაწვდომი.[14]

ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმიანობა მოიცავს უფასო იურიდიულ დახმარებას და სამართალწარმოებას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე; ადამიანის უფლებების დარღვევების ფაქტების მონიტორინგს, დოკუმენტირებას და ანგარიშების მომზადებას; ადამიანის უფლებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას; საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროების იდენტიფიცირების შემთხვევაში, რეფორმების ადვოკატირებას; გამოხატვის თავისუფლებისა და დამოუკიდებელი მედიის განვითარების ხელშეწყობას და სხვა.

მაგალითად ცენტრის იურისტებმა მხოლოდ 2023 წელს უფასო იურიდიული კონსულტაცია 5252 მოქალაქეს გაუწიეს. ამავე წელს, მოხერხდა 48 საქმის წარმატებული ადვოკატირება და 3 საქმის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენა.[15]

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები უფასოდ უწევენ იურიდიულ დახმარებას ყველას, ვინც ამგვარი საჭიროების წინაშე დგას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბავშვების, ქალების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების,

---

[12] ინტერპრესნიუსი; ირაკლი ღარიბაშვილი-...ჩემთვის უცხო ს/ახელმწიფოს ინტერესების მსახურება, ეს არის ქვეყნის ღალატი; 11.05.2024; იხ. ბმული

[13] ინტერპრესნიუსი; ირაკლი კობახიძე - ამ კანონპროექტმა თავისი საქმე გააკეთა: ყველამ აღიარა, რომ აგენტობა სათაკილოა, გაიგეს იმ ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც არასახელმწიფო საქმიანობაში არიან ჩართულები და ის, რომ ვერასდროს განხორციელდება „ბაკურიანის გეგმა“; 10.03.2023; იხ. ბმული

[14] ადამიანის უფლებათა ცენტრის წლიური ანგარიშები; იხ. ბმული

[15] ადამიანის უფლებათა ცენტრის (HRC) საქმიანობის წლიური ანგარიში, 2023; იხ. ბმული

დევნილების, მოხუცების და უმცირესობების უფლებებს. ასევე, აღსანიშნავია, რომ ცენტრის იურისტები არასდროს უშინდებოდნენ ისეთ საქმეებში ჩართვას, სადაც სავარაუდო დამნაშავეები ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები ან თავად ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ. ხშირად, სამოხელეო დანაშაულის წინაშე მარტოდ დარჩენილი მოქალაქეების იმედი ადამიანის უფლებათა ცენტრი ან სხვა უფლებადამცველი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები იყვნენ, რადგან, ერთი მხრივ, რთულია, მოქალაქე მარტო გაუმკლავდეს სისტემის ზეწოლას, ხოლო, მეორე მხრივ, მატერიალურ სახსრებს მოკლებული ადამიანი სრულფასოვნად ვერ შეძლებს საკუთარი უფლებების დაცვას ან კერძო იურიდიული დახმარებისთვის საჭირო ფინანსების მოძიებას. მეტიც, სამოხელეო დანაშაულების შემთხვევაში, უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლების გარდა სხვა პირებს შესაძლოა შეეშინდეთ, რომ თუ იურიდიულ, სოციალურ, ეკონომიკურ ან სხვა სახის დახმარებას გაუწევენ მსხვერპლს, ეს შესაძლოა მათი დევნის საფუძველიც გახდეს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი განაგრძობდა მოქალაქეების სამართლებრივ დახმარებას, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ხელისუფლების მმართველობის პირობებში ის არაერთი თავდასხმის ობიექტი გამხდარა.

ამგვარად, დაარსების დღიდან ადამიანის უფლებათა ცენტრი ჩართული იყო არაერთ გახმაურებულ საქმეში, აწარმოებდა მნიშვნელოვან სასამართლო დავებს ეროვნულ და საერთაშორისო დონზე; ყოველდღიურად აგვარებდა მოქალაქეთა ყოფით სამართლებრივ პრობლემებს და აქტიურად იცავდა მოქალაქეთა უფლებებს. ამასთან, ცენტრს არასდროს შეუწყვიტავს მარტოდ დარჩენილი, უფლებაწართმეული მოქალაქეების დახმარება.

გახმაურებული საქმეები

- **ხორავას ქუჩის ტრაგედია და გამოძიების ხარვეზები**

ხორავას ქუჩის ტრაგედიის სახელით გახდა ცნობილი სისხლიანი კონფლიქტი, რომელიც 2017 წელს 51-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს შორის დაიწყო. კონფლიქტს სკოლის ორი მოსწავლე, ლევან დადუნაშვილი და დავით სარალიძე, ემსხვერპლა. გარდაცვლილი დავით სარალიძის მამა, ზაზა სარალიძე, თავიდანვე აცხადებდა, რომ საქმეში იკვეთებოდა მკვლელობაში შესაძლო მონაწილეთა მფარველობა. აქედან გამომდინარე, საქმეში დაზარალებული ოჯახის ადვოკატად აქტიურად ჩაერთო ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტი.[16]

[16] ლაზარე ჯიბლაძე, ადამიანის უფლებათა ცენტრი; ხორავას ქუჩაზე მოკლული მოზარდების საქმე, მოვლენათა ქრონოლოგია; 2020; გვ. 5; იხ. ბმული

გამოძიების ფარგლებში ხორავას ქუჩაზე განვითარებული მოვლენების რეალური სურათის აღდგენა თითქმის შეუძლებელი გახდა მტკიცებულებათა ნაწილის გადასხვაფერებისა და ნაწილის განადგურების გამო. საქმის წარმოების პროცესში, ადამიანის უფლებათა ცენტრი მუდმივად ამახვილებდა ყურადღებას სამოხელეო დანაშაულზე. ამის თქმის საფუძველს იძლეოდა საქმეში დაგვიანებით ჩატარებული ან საერთოდ ჩაუტარებელი საგამოძიებო მოქმედებები. ადამიანის უფლებათა ცენტრის მოსაზრება, რომ გამოძიება თავიდანვე არ იყო მიმართული დამნაშავეთა გამოსავლენად, გაიზიარა საქართველოს სახალხო დამცველმაც.[17] რომლის დასკვნის თანახმად, იკვეთებოდა სამოხელეო დანაშაულის შემადგენლობა, იქნებოდა ეს სამსახურებრივი გულგრილობა და არაპროფესიონალიზმი, თუ განზრახ არაეფექტიანი გამოძიება და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.[18]

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ საქმის წარმოების პროცესში გამოაშკარავდა, რომ კონფლიქტში მონაწილეებს შორის იყვნენ საქართველოს პროკურატურაში ადამიანური რესურსების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის - მირზა სუბელიანის ვაჟი და დეიდაშვილი. მართალია, პროკურატურის მაღალჩინოსანმა შემთხვევიდან რამდენიმე დღეში დატოვა თანამდებობა, მაგრამ მან ნეგატიური გავლენა იქონია გამოძიების მსვლელობაზე და მართლმსაჯულების აღსრულებაზე. ამის მიუხედავად, გამოძიება არ ატარებდა მირზა სუბელიანის გამოკითხვას. ასევე, არ ამოღებულა მისი სატელეფონო საუბრები ან გადაადგილების ტრაექტორია. პირიქით, საგამოძიებო უწყებები მაქსიმალურად ცდილობდნენ სუბელიანის დანაშაულის დაფარვა/შეუტყობინებლობასა და მტკიცებულებათა განადგურებაში მონაწილეობის მიჩქმალვას. მოგვიანებით, საგამოძიებო პროცესზე მირზა სუბელიანის გავლენა, მედიის მიერ გასაჯაროებულ კადრებშიც გამოიკვეთა, სადაც მისი საქმესთან შემხებლობა აშკარად ჩანდა, რადგან ოჯახი, სავარაუდოდ, ნივთმტკიცებებს ანადგურებდა.[19] კადრების გავრცელების შემდეგ, პროკურატურის ყოფილ მაღალჩინოსანს დანაშაულის დაფარვის გამო სასამართლომ ერთი წლით და ერთი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. თუმცა, საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვი, რომ მირზა სუბელიანი ხელისუფლებასთან ვაჭრობდა მის ხელთ არსებული ინფორმაციის მეშვეობით. ამასთან, მედიამ გაავრცელა მისი საუბრის ჩანაწერები, რომლის თანახმად, ის საკუთარი ნებით ჩაჯდა ციხეში და გარკვეულ პირობებზე გაურიგდა ხელისუფლებას.[20]

---

[17] ლაზარე ჯიბლაძე, ადამიანის უფლებათა ცენტრი; ხორავას ქუჩაზე მოკლული მოზარდების საქმე, მოვლენათა ქრონოლოგია; 2020; გვ. 27, 30; იხ. ბმული

[18] ნეტგაზეთი; „ჩვენი რეკომენდაციები ხორავას საქმეზე პროკურატურამ არ გაითვალისწინა – ომბუდსმენი“; 01.04.2019; იხ. ბმული

[19] რუსთავი2; როგორ გაანადგურეს მტკიცებულებები ორი მეთორმეტე კლასელის მკვლელობის საქმეში - "კურიერის" ექსკლუზიური კადრები; 19.05.2018; იხ. ბმული

[20] ლაზარე ჯიბლაძე, ადამიანის უფლებათა ცენტრი; ხორავას ქუჩაზე მოკლული მოზარდების საქმე, მოვლენათა ქრონოლოგია; 2020; გვ. 5, 6, 11, 12; იხ. ბმული

ამ მოვლენების პარალელურად, მმართველი პარტია ცდილობდა, რომ საზოგადოების თვალში ზაზა სარალიძე ოპოზიციურ პარტიებთან ასოცირებულიყო. ეს მიზნად ისახავდა, საზოგადოებაში სარალიძისადმი ანტიპათიის გაჩენას, რაც საბოლოო ჯამში, საპროტესტო ხმის ჩახშობასაც გამოიწვევდა. ამის მიუხედავად, უფლებადარღვეული მამის მხარდასაჭერად თბილისის ქუჩებში ათასობით ადამიანი გამოვიდა. შედეგად, საპროტესტო აქციის დაწყებიდან რამდენიმე საათში გავრცელდა ინფორმაცია მთავარი პროკურორის გადადგომის შესახებ.[21] სახელმწიფოს მოუწია დანაშაულში და მის დაფარვაში მონაწილე არაერთი ადამიანის მხილება, რომელთა ნაწილი მიეცა კიდეც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში. ასევე, ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ დამნაშავეს მსჯავრი შემთხვევიდან 4 წელიწადში დაედო, საწყის ეტაპზე არსებული გამოძიების ხარვეზებზე მიუთითებდა.[22]

ადამიანის უფლებათა ცენტრთან და დაზარალებულთან ერთად საქმის ირგვლივ სამოქალაქო საზოგადოების გაერთიანებამ გამოძიებაში არაერთი ძვრა გამოიწვია. თუმცა, სამოხელეო დანაშაულის დაუსჯელობა ისევე როგორც სახელმწიფოში არსებული სხვა სისტემური გამოწვევები, კვლავ პრობლემად დარჩა. ამის მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ცენტრი დღემდე აგრძელებს ადვოკატირებას საგამოძიებო უწყებების დამოუკიდებლობის და გამჭვირვალობის გაზრდის, ქართული მართლმსაჯულების რეალური რეფორმისა და სისტემაში რეალური ცვლილებების განხორციელების საჭიროებასთან დაკავშირებით.

- **ვიტალი საფაროვის საქმე**

ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავს 2018 წლის 30 სექტემბერს სასტიკად მოკლული უფლებადამცველის, ვიტალი საფაროვის უფლებამონაცვლის სამართლებრივ ინტერესებს. სისხლის სამართლის საქმეში გამოიკვეთა არაერთი მტკიცებულება, რომელიც მკვლელობის ეთნიკური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენაზე მიუთითებს. კერძოდ, დანაშაულის ჩადენის პროცესში უფლებადამცველს მიაყენეს მრავალი ჭრილობა ანტისემიტური შეძახილების ფონზე („მოკალი, ამის ებრაელი დედა!..“ და ა.შ.). ასევე, საქმეში არსებული მოწმეთა ჩვენებები, ბრალდებულთა სოციალური ქსელები და მტკიცებულებათა ერთობლიობა ადასტურებს თავდამსხმელთა ანტისემიტურ და ქსენოფობიურ ენას, მათ ნეონაცისტურ ჯგუფებთან იდეოლოგიურ კუთვნილებას.[23] ამ ყველაფრის მიუხედავად, სამივე ინსტანციის სასამართლომ ბრალდებულები დამნაშავედ ცნო მხოლოდ ჯგუფურად ჩადენილ მკვლელობაში, ხოლო

[21] ლაზარე ჯიბლაძე, ადამიანის უფლებათა ცენტრი; ხორავას ქუჩაზე მოკლული მოზარდების საქმე, მოვლენათა ქრონოლოგია; 2020; გვ. 13, 15; იხ. ბმული

[22] პირველი არხი; დავით სარალიძის მკვლელობისთვის დაკავებული გიორგი მენაბდე სასამართლომ პატიმრობაში დატოვა; 21.06.2021; იხ. ბმული

[23] ადამიანის უფლებათა ცენტრი - უფლებადამცველი ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმის დეტალები და სამართლებრივი შეფასება, 2019, გვ 1-2, 10 იხ. ბმული

განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში - ეთნიკური შეუწყნარებლობის ნიშნით არ დაადგინა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თანახმად, დაუშვებელია სახელმწიფოს მიერ დისკრიმინაციული მოტივის უგულებელყოფა გამოძიების ან სასჯელის დაკისრების სტადიაზე. მეტიც, მსგავსი მიდგომა შესაძლოა დამატებით არაპირდაპირ დისკრიმინაციადაც შეფასდეს. აქედან გამომდინარე, **ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სასამართლოს მხრიდან არასათანადო რეაგირების პრაქტიკა საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს.[24] მსგავს საქმეებთან მიმართებაში იკვეთება, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია დისკრიმინაციული დანაშაულების პრევენციისთვის საჭირო სისტემური პოლიტიკა, რაც ართულებს მშვიდობაზე ორიენტირებული საზოგადოების მშენებლობას.[25] სიძულვილით მოტივირებული მსგავსი დანაშაულების პრევენციისა და სასამართლოს მიერ სწორი პრაქტიკის განვითარების მიზნით, 2024 წლის იანვარში ადამიანის უფლებათა ცენტრმა ვიტალი საფაროვის საქმე განსახილველად ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარადგინა.**

- **თამარ ბაჩალეიშვილის საქმე**

ადამიანის უფლებათა ცენტრი წარმოადგენდა დაზარალებულის უფლებამონაცვლის ინტერესებს ახალგაზრდა პროგრამისტის, თამარ ბაჩალიაშვილის საეჭვო გარემოებებში 2020 წელს გარდაცვალების საქმეზე. გამოძიების ეტაპზე, ადამიანის უფლებათა ცენტრმა დააიდენტიფიცირა არაერთი პრობლემური საკითხი, რაც მედიის საშუალებითაც შუქდებოდა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან (სიცოცხლის უფლება) გამომდინარე, რომ პირის საეჭვო გარემოებებში დაღუპვის შემთხვევაში, აწარმოოს ეფექტიანი გამოძიება.[26] თუმცა, თამარ ბაჩალიაშვილის ცხედრის პოვნიდან მალევე, ვიდრე ექსპერტიზის დასკვნები მზად იქნებოდა და ძირითადი საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდებოდა, პროკურატურა აცხადებდა თვითმკვლელობის ვერსიის შესახებ. ასევე, გამოძიების პროცესში გაჩნდა არაერთი შეკითხვა, რომელზე პასუხის გაცემაც საზოგადოების ინტერესში იყო. თუმცა, კითხვებზე პასუხის გაცემის ნაცვლად, პროკურატურამ თვითმკვლელობის ვერსიის

[24] იქვე გვ. 12, 14; იხ. ბმული; ასევე, იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვა მოკლული უფლებადამცველის, ვიტალი საფაროვის ოჯახის წევრების შეურაცხყოფისა და მუქარის თაობაზე; 17.03.2023; იხ. ბმული

[25] პლატფორმა 'არა ფობიას!' ვიტალი საფაროვის მკვლელობის ჯგუფურად ჩადენილ დანაშაულად კვალიფიკაციას ითხოვს; 01.02.2019' იხ. ბმული

[26] Iorga v. Moldova, no. 12219/05, § 26, 23 March 2010

გასამყარებლად გაასაჯაროვა თამარ ბაჩალიაშვილისა და მისი ოჯახის პერსონალური მონაცემები.[27]

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, გამოძიების შედეგად პასუხი საერთოდ არ გაეცა არაერთ მნიშვნელოვან შეკითხვას, რომელიც საჭირო იყო, ერთი მხრივ, საქმის სრულყოფილად გამოსაძიებლად და მეორე მხრივ, საზოგადოების დასარწმუნებლად, რომ შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები გამოძიებისთვის მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხების გასაცემად მუშაობდნენ. 1. საგამოძიებო მასალების თანახმად, თამარ ბაჩალიაშვილის მანქანა ჩაკეტილი იყო, მინები კი აწეული. ამის მიუხედავად, მანქანის დახურულ სალონში, აღმოჩნდა უამრავი ე.წ. „ლეშის ბუზი“. ეს ფაქტი არ გამორიცხავს, რომ გვამი შესაძლოა მანქანაში მოთავსებამდე ყოფილიყო ღია სივრცეში. თუმცა, ამ კითხვით გამოძიება არ დაინტერესებულა და მხოლოდ ადამიანის უფლებათა ცენტრის ჩართვის შემდგომ, იძულებული გახდა, დამატებითი ექსპერტიზა ჩაეტარებინა, რომლის შედეგებიც დღემდე უცნობია. 2. ხელისუფლებამ ვერ შეძლო სატელიტური თანამგზავრიდან გადაღებული ფოტოების მოპოვება, რითაც დადასტურდებოდა, რომ თამარ ბაჩალიაშვილის მანქანა მისი გაუჩინარების დღიდან ოთხი დღის განმავლობაში იდგა იმ ტერიტორიაზე, სადაც იგი იპოვეს. აქვე აღსანიშნავია, რომ „უსაფრთხოების პრობლემების ანტიკრიზისული ცენტრის“ ხელმძღვანელის მიერ მიწოდებული სატელიტიდან გადაღებული ფოტოები გაყალბებული აღმოჩნდა, რის გამოც პროკურატურამ აღნიშნული პირი მტკიცებულებათა ფალსიფიკაციისა და სხვის კომპიუტერში უკანონოდ შეღწევის ბრალდებით დააკავა. 3. არ არის დადგენილი ქალის ვინაობა, რომელიც თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახში დაკრძალვამდე მივიდა და გარდაცვლილის ცხედარს და მის დედას გაურკვევლად უხდიდა ბოდიშს, შემდეგ კი ადგილიდან გაიქცა. მართალია, ექსპერტიზაზე თვითმხილველთა მონაწილეობით შედგა ქალი ფოტორობოტი, მაგრამ მისი ვინაობა არ დადგენილა. 4. ცხედრის გადატანის ვერსიის დაშვების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი იყო გამოკითხულიყო პირი, რომელმაც სოფელ გოლთეთში რამდენიმე საათით გამორთო ელექტროენერგია, რადგან ერთ-ერთი ჟურნალისტი საჯაროდ აცხადებდა, რომ შესაძლოა პირდაპირი კავშირი ყოფილიყო ელექტროენერგიის გათიშვასა და ცხედრის გადატანას შორის. 5. მწყემსი მამა-შვილის ჩვენებები სანდოდ მიიჩნია გამოძიებამ მიუხედავად მასში არსებული წინააღმდეგობებისა. მაგალითად, მწყემსმა განაცხადა, რომ თამარის მანქანისა და ცხედრის აღმოჩენის შემდეგ, ვერ დაურეკა მამას შესატყობინებლად, რადგან ტელეფონი დამჯდარი ჰქონდა. თუმცა, საქმეში არსებული სატელეფონო ამონაწერით გაირკვა, რომ მოწმის ტელეფონზე ინტერნეტაქტივობები სწორედ იმ პერიოდში დაფიქსირდა, როცა, მისი თქმით, ტელეფონი დამჯდარი ჰქონდა. მეტიც, შემთხვევის ადგილზე დადგინდა მისი სატელეფონო საუბრის არსებობაც. 6. ერთ-ერთი მწყემსი, რომელმაც

[27] Humanrights.ge; თამარ ბაჩალიაშვილის საქმე; ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ იდენტიფიცირებული პრობლემური საკითხები; 26.10.2020; იხ. ბმული

ვიდეოსიუჟეტში განაცხადა, რომ შემთხვევის ადგილზე ყოველდღიურად დაჰყავდა საქონელი და იქ რომ მანქანა მდგარიყო, აუცილებლად შეამჩნევდა, განცხადების გავრცელებიდან მეორე დღეს საგამოძიებო ორგანოში ადვოკატის გარეშე დაკითხეს. რის შემდეგაც, მან ჩვენება შეცვალა და განაცხადა, რომ გავრცელებულ ვიდეოკადრებში იყო ნასვამი და რას ლაპარაკობდა, აღარ ახსოვდა. 7. გამოძიებას არ დაუდგენია იმ პირის ვინაობა, ვისაც ეკუთვნის თამარ ბაჩალიაშვილის მანქანიდან ამოღებულ პირბადეზე არსებული გენეტიკური პროფილი. ვერც ის დადგინდა, თუ ვის ეკუთვნოდა თამარის მარცხენა ფეხსაცმელზე, მანქანის უკანა ორივე ხალიჩაზე და ტელეფონზე აღმოჩენილი სისხლის კვალი.[28]

ამ ფაქტებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია საგამოძიებო ორგანოების ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფა. ამიტომ, ცენტრი აგრძელებს ადვოკატირებას საგამოძიებო ორგანოებისა და გამომძიებლების კვალიფიკაციის ამაღლებასთან, შესაბამისი რეფორმების გატარებისა და განვითარების საჭიროებასთან დაკავშირებით.

- **საქართველოს პენიტენციურ სისტემაში 2003-2012 წლებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საქმეები**

ადამიანის უფლებათა ცენტრი დღემდე აგრძელებს იმ პირთა უფლებების დაცვას, რომლებიც წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში ციხეებში გახდნენ წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლნი.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „2004–2012 წლებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების სამართლებრივი შეფასების და მათი განმეორების დაუშვებლობისა და სრული პრევენციის შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა, რომ სახელმწიფომ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ყველა ზომა უნდა მიიღოს, რათა უზრუნველყოს მსხვერპლთა ეფექტიანი დაცვა და მათი რეაბილიტაცია. თუმცა, ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, დღემდე არ არსებობს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა ამ მიმართულებით. კერძოდ, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლებს უწევთ ხანგრძლივი სამართლებრივი დავა, რადგან საქმეები წლების განმავლობაში ჭიანურდება.[29] ამის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ პენიტენციური სამსახური უარს აცხადებს ზიანის ანაზღაურებაზე, ვიდრე ყველა ინსტანციის სასამართლოში არ იდავებს წამების მსხვერპლთან.[30] ასევე,

[28] Humanrights.ge; თამარ ბაჩალიაშვილის საქმე; ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ იდენტიფიცირებული პრობლემური საკითხები; 26.10.2020; იხ. ბმული

[29] ადამიანის უფლებათა ცენტრი; ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვა წამების მსხვერპლთა გაჭიანურებული რეაბილიტაციის და კომპენსაციის თაობაზე; 23.12.2021; იხ. ბმული

[30] ადამიანის უფლებათ ცენტრი; პენიტენციური სამსახური წამების მსხვერპლს მორალური ზიანის სახით განსაზღვრულ 30 000 ლარს აუნაზღაურებს; 16.11.2022; იხ. ბმული

მსხვერპლებს უწევთ, ერთი მხრივ, დავა დაიწყონ პირველი ინსტაციის სასამართლოში და გაყვნენ მას ბოლო ინსტანციამდე, რათა განაჩენით დადასტურდეს მსხვერპლის მიმართ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული, ხოლო, მეორე მხრივ, შემდეგ ეტაპზე იწყება ახალი სამართალწარმოება ადმინისტრაციული მიმართულებით სამივე ინტანციაში, მსხვერპლის კომპენსაციასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ წარმოებულ ერთ-ერთ საქმეში, ორივე ეტაპზე სამართალწარმოების დასრულებას და მსხვერპლისთვის კომპენსაციის მინიჭებას ჯამში 12 წელი დასჭირდა.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავდა მსხვერპლებს, რომლებზეც განხორციელდა ისეთი სასტიკი მეთოდებით ჩადენილი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა, როგორიცაა: აბანოში პატიმრის ცემა, შეფურთხება, წამება, სიგარეტის მიწვა, ყურის ბარაბნების გახეთქვა, გაუპატიურება და ა.შ., რიგ შემთხვევებში, სახელმწიფოს პოზიცია იყო, რომ ცემა-წამებისთვის 2000 ლარი შესაძლოა რელევანტური კომპენსაცია ყოფილიყო.[31] ასევე, მიუხედავად იმისა, რომ კომპენსაციის ნაწილში მსხვერპლს უნდა აუნაზღაურდეს როგორც ფიზიკური, ისე მორალური ზიანი და სრულიად გათავისუფლდეს სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან, დაფიქსირდა შემთხვევა, როცა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში სასამართლომ მაინც მოითხოვა ბაჟის თანხის გადახდა, ხოლო მსხვერპლს საამისოდ საკმარისი სახსრები არ აღმოაჩნდა და იძულებული გახდა, საკომპენსაციო მოთხოვნა შეემცირებინა.[32]

ასევე, აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ცენტრმა შექმნა პრეცედენტები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია წამების მსხვერპლთა კომპენსაციით დაკმაყოფილება სასამართლოსათვის მიმართვის გზით. მაგალითად, ყოფილა შემთხვევები, როცა მსჯავრდადებულს ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართლებრივი დახმარების შედეგად, სასამართლომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლის სასარგებლოდ 60 000 ლარის გადახდა დააკისრა.[33]

ადამიანის უფლებათა ცენტრი, დღემდე აგრძელებს წამების მსხვერპლთა დაცვას, რათა ხელისუფლებამ თავი არ აარიდოს დაზარალებულთა მიმართ საკუთარი ვალდებულებების შესრულებას და მათ მისცეს სათანადო კომპენსაციის მიღებისა და რეაბილიტაციის შესაძლებლობა.

---

[31] ადამიანის უფლებათა ცენტრი; წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლთა სამართლიანი დაკმაყოფილება და არსებული სასამართლო პრაქტიკა; 2019; გვ. 4-10; იხ. ბმული

[32] HumanRights.ge; წამების მსხვერპლი ქალი იძულებული გახდა, მორალური ზიანისთვის ნაკლები თანხა მოეთხოვა; 14.03.2018; იხ. ბმული

[33] ადამიანის უფლებათა ცენტრი; წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლთა სამართლიანი დაკმაყოფილება და არსებული სასამართლო პრაქტიკა; 2019; გვ. 5; იხ. ბმული

- **ყინწვისის საქმე**

2011 წლის 26 მაისს ყინწვისის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა 24 მოქალაქე დააკავეს. დაკავების მიზეზად დასახელდა შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების შესაცვლელად შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების მიზნით. მართალია, ბრალდებულები ყინწვისში დააკავეს, მაგრამ სპეცოპერაცია დარღვევებით ჩატარდა და არც შესაბამისი ოქმები შედგენილა. აქედან გამომდინარე, საბუთები პოლიციამ მეორე დღეს თბილისში შეადგინა იმგვარად, თითქოს, დაკავება თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში მოხდა. ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე თავდაპირველად ატვირთული განცხადება 24 პირის დაკავების შესახებ გაქრა, ხოლო პროკურატურამ საერთოდ უარყო ყინწვისის სპეცოპერაცია.[34]

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე: „ნიკოლოზ გოგუაძე საქართველოს წინააღმდეგ“. მომჩივანი სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი გახდა და ამავდროულად, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ამ ფაქტზე ეფექტიანი და დროული გამოძიების ჩატარება, ამიტომ სასამართლომ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევა დაადგინა. გამოძიება, რომელიც 2011 წლის ივნისში დაიწყო, თითქმის 8 წლის შემდეგ კვლავ გრძელდებოდა და რამდენიმეწლიანი სრული უმოქმედობით ხასიათდებოდა. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს ხელისუფლებას, აპლიკანტთა სასარგებლოდ ანაზღაურების გადახდა დააკისრა.[35]

საქმეში არსებული თვალსაჩინო დარღვევების, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების, ასევე გამოძიებაში არსებული ცხადი პოლიტიკური მოტივების გამო, ადამიანის უფლებათა ცენტრი იყო ინიციატორი, ე.წ. ყინწვისის საქმის მონაწილე პირებს მინიჭებოდათ პოლიტიკური პატიმრის სტატუსი, რაც 2013 წელს საქართველოს პარლამენტმა დააკმაყოფილა. ამავე წლის იანვარში ე.წ. ყინწვისის საქმის მონაწილე 24-ვე პიროვნება პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლდა.[36]

ადამიანის უფლებათა ცენტრის მრავალწლიანი შრომის შედეგად, ყინწვისის საქმის მონაწილე პირებს პროკურატურამ მიანიჭა დაზარალებულის სტატუსი და უარი თქვა სასამართლოში ძველი ბრალდების მხარდაჭერაზე. ხოლო, 2021 წელს სააპელაციო

[34] humanrights.ge; თბილისის სააპელაციო სასამართლომ ე.წ. ყინწვისის საქმეზე გასამართლებული 12 ყოფილი პოლიტპატიმარი უდანაშაულოდ ცნო; 02.02.2021; იხ. ბმული

[35] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მეხუთე სექციის გადაწყვეტილება; „გოგუაძე საქართველოს წინააღმდეგ“; (საჩივარი №40009/12); იხ. ბმული

[36] humanrights.ge; თბილისის სააპელაციო სასამართლომ ე.წ. ყინწვისის საქმეზე გასამართლებული 12 ყოფილი პოლიტპატიმარი უდანაშაულოდ ცნო; 02.02.2021; იხ. ბმული

სასამართლომ ყინწვისის საქმეზე გასამართლებული ყველა ყოფილი პოლიტპატიმარი გაამართლა.[37]

- **უკონტროლო მოსმენების საქმეები**

2021 წლის 13 სექტემბერს სხვადასხვა მედიის საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ სამოქალაქო სექტორის, ჟურნალისტების, პოლიტიკოსების, ადვოკატების, სასულიერო პირების და დიპლომატების მიმართ თვალთვალის და მიყურადების შესახებ არსებულ მასალებზე. გავრცელებული ფაილები, ე.წ. კრებსები, შეიცავდა პირადი ცხოვრების ამსახველ, სავარაუდოდ, უკანონო მიყურადებისა და თვალთვალის შედეგად მოპოვებულ მონაცემებს.[38] კრებსები გავრცელდა, სავარაუდოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი თანამშრომლის მიერ, რომელმაც გვერდზე ასევე დატოვა შეტყობინება: *„არ არსებობს იმაზე ბოროტი და საშინელი სამსახური, სადაც მე რამდენიმე წელი გავატარე! სათაური ასეთი არ აქვს – სათაური კეთილშობილია – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური... სინამდვილეში კი, არაფერი არ უქმნის საფრთხეს ჩვენ სახელმწიფოს, არაფერი არ ხრწნის ისე, როგორც ჩვენ! ჩვენ კიბო ვართ და მეც ერთ-ერთი მეტასტაზი ვარ!.. აქ თქვენ ნახავთ მასშტაბს იმ საძაგლობისა, რომელშიც წლები გავატარე და ღმერთმა მაპატიოს, ღმერთმა ქნას - გაიღვიძოთ და დაანგრიოთ ეს სისტემა!“*[39]

ფარული მოსმენების საქმეში ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავს როგორც თბილისში, ისე რეგიონებში მოღვაწე ათამდე ჟურნალისტისა და ადვოკატის სამართლებრივ ინტერესებს. დაზარალებულებმა გავრცელებულ მასალებში ამოიცნეს საკუთარი საუბრები და დაადასტურეს მონაცემების ავთენტურობა. თითოეული მათგანის ფარული მოსმენა, სავარაუდოდ, დაკავშირებული იყო მათ პროფესიულ საქმიანობასთან, ვინაიდან დაზარალებული ადვოკატები და ჟურნალისტები შემხებლობაში იყვნენ ისეთ გახმაურებულ საქმეებთან, როგორიცაა: ნამახვანჰესის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციები, ზურაბ ჟვანიას საქმე, ე.წ ციანიდის საქმე, თამარ ბაჩალიაშვილის საქმე და ა.შ. მაგალითად, ადვოკატ მიხეილ რამიშვილს, რომელიც რეზონანსულ სისხლის სამართლის საქმეებშია ჩართული, უსმენდნენ არამხოლოდ სატელეფონო მიყურადების გზით, არამედ მის კაბინეტში დამონტაჟებული მოწყობილობებითაც. ეს ყოველივე თავისთავად გულისხმობს საადვოკატო საქმიანობაში ხელის შეშლას. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტებმა განცხადებით მიმართეს ქ.

---

[37] humanrights.ge; თბილისის სააპელაციო სასამართლომ ე.წ. ყინწვისის საქმეზე გასამართლებული 12 ყოფილი პოლიტპატიმარი უდანაშაულოდ ცნო; 02.02.2021; იხ. ბმული ; ასევე, იმედი „ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართლებრივი დახმარებით, ე. წ. ყინწვისის საქმეზე გასამართლებული ყველა ყოფილი პოლიტპატიმარი გამართლდა“; 28.09.2022; იხ. ბმული

[38] საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს სახალხო დამცველმა პარლამენტში წლიური ანგარიში წარადგინა; 2022 იხ. ბმული

[39] ტაბულას განცხადება; მთავარი არხი: პირმა, რომელმაც სუს-იდან ფარული მასალები გამოიტანა, თავი მოიკლა’ 13.09.2021; იხ. ბმული

თბილისის პროკურატურას, რათა გამოძიებაში დამატებულიყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 364-ე მუხლი, რომელიც დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლის მიზნით ადვოკატის საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონო ჩარევას ითვალისწინებს. სამწუხაროდ, გამოძიებას შესაბამისი მუხლით კვალიფიკაცია არ დამატებია.[40]

პროკურატურამ დაზარალებულად ცნო ადამიანის უფლებათა ცენტრის დაცვის ქვეშ მყოფი ყველა ადვოკატი და ჟურნალისტი კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევის მუხლთან მიმართებაში.[41] თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაზარალებულად ცნობის პროცესი მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, როცა დაზარალებულების ნაწილმა უფლებების დასაცავად ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა.[42]

კვლავ პრობლემად რჩება ქვეყანაში არსებული ინსტიტუციური და საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც უკონტროლო მოსმენების საფუძველს იძლევა. დამატებით პრობლემას წარმოადგენს ეფექტიანი კონტროლისა და ზედამხედველობის არარსებობა. 2022 წლის გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოსაზრებაში აღინიშნა, რომ ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს არ გააჩნია საკმარისი დამოუკიდებლობა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან, ამიტომ აღმაშფოთებელია მის მიერ ელექტრონული მეთვალყურეობის განხორციელება.[43]

სამწუხაროდ, ე.წ. კრებსების საქმეში დღემდე არ მომხდარა უკანონო მოსმენების საქმეების კომპლექსური გამოძიება ან დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა. საგამოძიებო ორგანოებმა ვერც კონკრეტულ პირებთან მიმართებაში დაასაბუთეს ისეთი სისხლისსამართლებრივი გამოძიების მიმდინარეობა, რომელიც შექმნიდა მათ მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების საფუძველს.[44] საქართველოში მანამდეც არაერთხელ გავრცელებულა უკანონო ფარული ჩანაწერები, მაგრამ არცერთ საქმეში დამდგარა დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის პრეცედენტი.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, ფარული ჩანაწერების მოპოვების და გავრცელების ფაქტების სიხშირე, ასევე მათზე არაეფექტიანი რეაგირება ცხადყოფს, რომ საქართველოში ფარული მიყურადების მარეგულირებელი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო ვერ უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას. ამიტომ, **ადამიანის უფლებათა ცენტრი ადვოკატირებას უწევს ქვეყანაში**

---

[40] ნინო ჩალაძე, ადამიანის უფლებათა ცენტრი; უკონტროლო მოსმენები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება; 2024; გვ. 15; იხ. ბმული

[41] ნინო ჩალაძე, ადამიანის უფლებათა ცენტრი; უკონტროლო მოსმენები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება; 2024; გვ. 16; იხ. ბმული

[42] რადიო თავისუფლების განცხადება; ომბუდსმენი ევროსასამართლოს სთხოვს, "მოსმენების საქმე" პრიორიტეტულად განიხილოს; 20.09.2022; იხ. ბმული

[43] United Nations, Human Rights Committee, Concluding observations on the fifth periodic report of Georgia, CCPR/C/GEO/CO/5 (13 September 2022) para. 39. იხ. ბმული

[44] ნინო ჩალაძე, ადამიანის უფლებათა ცენტრი; უკონტროლო მოსმენები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება; 2024; გვ. 17; იხ. ბმული

ისეთი ზედამხედველობის, კონტროლის ეფექტიანი სისტემისა და სათანადო პროცედურული გარანტიების შექმნას, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებას უზრუნველყოფს.[45]

საერთაშორისო სამართალწარმოება

- ვახტანგ მაისაიას საქმე

2009 წელს დააკავეს სამხედრო ექსპერტი ვახტანგ მაისაია რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით და მას თბილისის საქალაქო სასამართლომ ოცწლიანი პატიმრობა მიუსაჯა. იმ დროისთვის გლდანის ციხეში წამებას სისტემური სახე ჰქონდა და ისიც არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი გახდა. ასევე, წამების შედეგად, მისგან მიიღეს აღიარებითი ჩვენებები, რომელიც მოგვიანებით მის საწინააღმდეგოდ გამოიყენეს.[46]

ადამიანის უფლებათა ცენტრმა დაზარალებულს იურიდიული დახმარება გაუწია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. 2013 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ პოლიტპატიმრებად ცნობილი პირები „ამნისტიის შესახებ“ კანონის საფუძველზე, სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან გათავისუფლდნენ, მათ შორის იყო მაისაიაც. 2014 წლიდან ადამიანის უფლებათა ცენტრი წლების განმავლობაში უშედეგოდ ითხოვდა შინაგან საქმეთა სამინისტროსგან გახმაურებულ საქმეზე „საიდუმლო“ გრიფის მოხსნას. ამ ნაბიჯის მიღწევა მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნებოდა წინა ხელისუფლების პირობებში პოლიტიკური მოტივებით გასამართლებულ პოლიტპატიმართა რეაბილიტაციისთვის.[47]

ვახტანგ მაისაიამ განაცხადა, რომ მას მტკიცებულებები ჰქონდა იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც პატიმრების წამებაში მონაწილეობდნენ, ახალი ხელისუფლების პირობებში კი, თანამდებობიდან გათავისუფლების ნაცვლად, სწორედ ეს პირები დააწინაურეს.[48] ადამიანის უფლებათა ცენტრმა ეროვნულ დონეზე ამოწურა სამართლებრივი საშუალებები და ვერ მიაღწია პროკურატურის მიერ სამართლიანი გამოძიების ჩატარებას, ან დამნაშავე პირებისთვის ბრალის წაყენებას. თუმცა, საერთაშორისო დონეზე, ადამიანის უფლებათა ცენტრის საჩივარის შედეგად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2024 წლის 7 მაისს მაისაიას საქმეში

---

[45] ნინო ჩალაძე, ადამიანის უფლებათა ცენტრი; უკონტროლო მოსმენები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება; 2024; გვ. 18; იხ. ბმული

[46] Humanrights.ge; "ვახტანგ მაისაიას საქართველოს სახელმწიფომ, კომპენსაციის სახით, 15 000 ევრო უნდა გადაუხადოს"; 07.05.2024; იხ. ბმული

[47] Humanrights.ge; მიმართვა ჯაშუშობის ბრალდებით გასამართლებული პოლიტპატიმრების საქმეებზე გრიფის „საიდუმლო“ მოხსნის თაობაზე; 26.01.2016; იხ. ბმული

[48] რადიო თავისუფლების სტატია; ვახტანგ მაისაია მისი წამების ფაქტების გამოძიებას და საქმეზე გრიფი „საიდუმლოს“ მოხსნას მოითხოვს; 24.10.2013; იხ. ბმული

დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევა, ერთი მხრივ, ციხეში არასათანადო მოპყრობის, ხოლო, მეორე მხრივ, ხელისუფლების მიერ გამოძიების ჩაუტარებლობის კონტექსტში. ამგვარად, საქართველოს ვახტანგ მაისაიას სასარგებლოდ 15,000 ევროს გადახდა დაეკისრა.[49]

- ზურა ელიბაშვილი-ხუციშვილის საქმე

2016 წლის 1 აგვისტოს ზურა ელიბაშვილი (დაბადების გვარი - ხუციშვილი) თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დედისა და ძმის დასახვედრად მიდიოდა. თუმცა, მას გზაში დღემდე გაურკვეველი მიზეზით აედევნა საპატრულო პოლიციის ავტომობილი. მანქანიდან გადმოსვლის შემდეგ მამაკაცს ქვეითად დაედევნნენ პატრულ-ინსპექტორები მტკვრის ხევის მიმართულებით. ისინი მალევე დაბრუნდნენ უკან და გზა გააგრძელეს, მაგრამ არ დაუდგენიათ ზურა ელიბაშვილის ადგილმდებარეობა და არც სამაშველო სამსახურისთვის გამოუძახიათ. მას შემდეგ, რაც მამაკაცი ოჯახის დასახვედრად აეროპორტში არ მივიდა, მას ძებნა დაუწყეს და შემთხვევიდან მხოლოდ 3 დღის შემდეგ იპოვეს მდინარე მტკვარში გარდაცვლილი. გამოძიება თავდაპირველად თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაიწყო, ხოლო შემდეგ სამსახურებრივი გულგრილობის მუხლით გაგრძელდა. ექსპერტიზით დადგინდა, რომ ზურა ელიბაშვილი ასფიქსიით გარდაიცვალა.[50]

დევნაში მონაწილე პირების ვინაობა ცნობილია, მაგრამ გამოძიება უკვე რვა წელია უშედეგოდ მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ცენტრმა საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი ზურა ელიბაშვილის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს 2021 წელს მიმართა. სასამართლომ გამოძიების არაეფექტურობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ დასაბუთებული თითქმის ყველა არგუმენტი გაიზიარა, ხოლო მთავრობის მიერ წარდგენილი არგუმენტები დაუშვებლად მიიჩნია. სტრასბურგის სასამართლომ სიცოცხლის უფლების დარღვევა დაადგინა და სახელმწიფოს განმცხადებლისთვის 12 000 ევროს გადახდა დააკისრა მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით.[51]

სასამართლომ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ კავშირი ზურა ელიბაშვილის სიკვდილსა და პოლიციის მიერ მის დევნას შორის აშკარა იყო. ამის მიუხედავად, საქმის გამოძიება პროკურატურის ნაცვლად ისევ პოლიციას დაევალა. ხოლო, პროკურატურამ გამოძიება მხოლოდ 15 თვის შემდეგ დაიწყო, როცა საქმისთვის მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებები უკვე ჩატარებული იყო იმ ორგანოს მიერ, რომელიც თვით

[49] Humanrights.ge; "ვახტანგ მაისაიას საქართველოს სახელმწიფომ, კომპენსაციის სახით, 15 000 ევრო უნდა გადაუხადოს"; 07.05.2024; იხ. ბმული

[50] ადამიანის უფლებათა ცენტრი; სტრასბურგის სასამართლომ სიცოცხლის უფლების დარღვევა დაადგინა და სახელმწიფოს დაზარალებულისთვის 12 000 ევროს გადახდა დააკისრა; 04.03.2024; იხ. ბმული

[51] ელიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ; (საჩვარი 45987/21); გადაწყვეტილება; სტრასბურგი; 22 თებერვალი; 2024; იხ. ბმული

პოლიციის თანამშრომლებისგან არ იყო მიუკერძოებელი და ამან გამოძიებაში პირდაპირი ხარვეზებიც გამოიწვია. ასევე, სასამართლომ გაუმართლებლად მიიჩნია გამოძიების წლების განმავლობაში გაჭიანურება, მითუმეტეს - მაშინ, როცა საქმე საეჭვო გარემოებაში გარდაცვალებას ან/ და მსხვერპლის არასათანადო მოპყრობას ეხებოდა. ამგვარად, სასამართლოს დასკვნით, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ეფექტური გამოძიების ჩატარება.[52]

- ომის დროს დაზარალებული პირების უფლებათა დაცვა

ადამიანის უფლებათა ცენტრი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში იცავს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაზარალებული 137 ადამიანის უფლებებს. ორგანიზაციამ აგვისტოს ომის დროს რუსეთის ფედერაციის მხრიდან ევროპული კონვენციით გათვალისწინებული სხვადასხვა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით 3 საჩივარი წარადგინა.[53]

2021 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“ სახელმწიფოთაშორის საქმეში საქართველოს საჩივარი ძირითადად დააკმაყოფილა და რუსეთის მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის დარღვევა თითქმის ყველა ძირითად მუხლში დაადასტურა. ამ სასამართლო გადაწყვეტილებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ის რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობას ადგენს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში. ასევე, ამ გადაწყვეტილებას პირდაპირი ზეგავლენა აქვს იმ ასეულობით ინდივიდუალურ საჩივარზე, რომელიც საქართველოს მოქალაქეებმა წარადგინეს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ცენტრის შუამდგომლობით.[54] მართალია, 2022 წლის სექტემბრიდან რუსეთის ფედერაცია გარიცხულია ევროპის საბჭოდან, მაგრამ ევროპულმა სასამართლომ საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული სახელმწიფოთაშორისი დავები პრიორიტეტულად დაასახელა[55] და 2023 წლის 28 აპრილს რუსეთის ფედერაციას, აგვისტოს ომის საქმესთან დაკავშირებით, საქართველოსთვის 130 მილიონამდე ევროს გადახდა დააკისრა.[56] ასევე, ევროპულმა სასამართლომ 2023 წლის 20 აპრილს დასაშვებად ცნო საქართველოს მეოთხე სახელმწიფოთაშორისი საჩივარი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, რომელიც ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ქართველი მოსახლეობის შევიწროების, უკანონო დაკავებების და დანაშაულების გამოძიებისგან

[52] იქვე, პარა. 16

[53] ლაზარე ჯიბლაძე, ადამიანის უფლებათა ცენტრი; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 2008 წლის ომის საქმეზე საქართველო რუსეთის წინააღმდეგ; გვ. 7; იხ. ბმული

[54] ლაზარე ჯიბლაზე, ადამიანის უფლებათა ცენტრი; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 2008 წლის ომის საქმეზე საქართველო რუსეთის წინააღმდეგ; გვ. 4; იხ. ბმული

[55] ECHR; Future processing of applications against the Russian Federation; იხ, ბმული

[56] 17 Georgia v. Russia (II) (just satisfaction) [GC], no. 38263/08, 28 April 2023 იხ. ბმული

თავის შეკავების ადმინისტრაციულ პრაქტიკას შეეხება.[57] აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ცენტრსაც დადებითი მოლოდინები აქვს ინდივიდუალურ საჩივრებთან დაკავშირებთ.

მნიშვნელოვანი ყოფითი საქმეები

გარდა ქვეყნისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე, მასშტაბური ან გახმაურებული საქმეებისა, ადამიანის უფლებათა ცენტრი ჩართულია მოქალაქეთა ცხოვრებაში ყოფითი პრობლემებისა და ყოველდღიურობის სამართლებრივ მოწესრიგებაში.

- ადამიანის უფლებათა ცენტრი წლების განმავლობაში იცავს სამედიცინო მომსახურებისას დაზარალებული მოქალაქეების სამართლებრივ ინტერესებს. ორგანიზაციის შეფასებით, პრაქტიკაში იკვეთება არაერთი სისტემური პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია როგორც სამედიცინო დაწესებულებებისა და მედპერსონალის, ისე საგამოძიებო ორგანოებისა და გამომძიებლების მიერ დაშვებულ შეცდომებთან. ამიტომ, მნიშვნელოვანია, პროფესიული სამედიცინო პასუხისმგებლობის დადგენასთან დაკავშირებული საკითხების დროული მოწესრიგება.[58]
- ორგანიზაციის მხრიდან მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ძალადობის მსხვერპლ ქალებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები აწარმოებენ არაერთი ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების საქმეს, რადგან ქვეყანაში ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის დანაშაულთა სიმრავლე.[59]
- ადამიანის უფლებათა ცენტრი აქტიურად იცავს არასრულწლოვანების სამართლებრივ ინტერესებს. სამწუხაროდ, ცენტრის იურისტებს მრავლად აქვთ ისეთი საქმეები, რომლებშიც იკვეთება არასრულწლოვანებზე ფსიქოლოგიური, ფიზიკური და სექსუალური ძალადობა.[60]
- ადამიანის უფლებათა ცენტრი წლების განმავლობაში ეხმარება მოხუცებს პენსიასთან დაკავშირებული უფლებების რეალიზებაში. ასევე, ის აქტიურად არის ჩართული სოციალური დახმარების მოწესრიგებაში, მაგალითად, ადამიანის უფლებათა ცენტრის შიდა ქართლის ოფისის იურისტი დაეხმარა პირს, რომელსაც სოციალური დახმარება შეუწყვიტა სააგენტომ და მისგან თანხის დაბრუნებას

[57] სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება: 15 წელი აგვისტოს ომიდან - ტერორისტული რეჟიმის განგრძობადი ზიანი და შედეგები საერთაშორისო სასამართლოებში, 07.08.2023 (ბოლო ნახვა 13.12.2023); იხ. ბმული

[58] ნინო ჩალაძე, ადამიანის უფლებათა ცენტრი; სამედიცინო მომსახურებისას დაზარალებული მოქალაქეების სამართლებრივი პრობლემების ანალიზი; 2023; გვ. 11, 22, 23; იხ. ბმული

[59] ნინო ჩალაძე, ადამიანის უფლებათა ცენტრი; ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სოციალურ-სამართლებრივი ასპექტები; 2023; იხ. ბმული

[60] ნინო ჩალაძე, ადამიანის უფლებათა ცენტრი; არასრულწლოვანთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევები; 2023; იხ. ბმული

ითხოვდა. იურიდიული დახმარების შედეგად, თბილისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა ადამიანის უფლებათა ცენტრის საჩივარი ამ საკითხთან დაკავშირებით.

- ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები დაეხმარნენ არაერთ დევნილ პირს, რომელთაც უარი ეთქვათ დევნილის სტატუსის მინიჭებაზე ან საცხოვრებლით დაკმაყოფილებაზე. მაგალითად, ე.ზ.-ს საქმეში თბილისის საქალაქო სასამართლომ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროების უზრუნველყოფის სააგენტოს დაავალა დევნილისათვის საცხოვრებლის გადაცემა. ასევე, მაგალითად, ცენტრის ჩართულობით საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 16 მარტის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი სააგენტოს საკასაციო საჩივარი და მას ე.ზ.-თვის საცხოვრებელი ფართის გადაცემა დაევალა.
- ორგანიზაციამ არაერთხელ გაუწია უფასო იურიდიული დახმარება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიის მიმდებარედ დასახლებულ მოქალაქეებს, მაგალითად, 2018 წელს ცენტრი დაეხმარა სოფელ დიცში მცხოვრებ ი.ბ.-ს, რომელსაც საჯარო რეესტრი არ ურეგისტრირებდა მიწის ნაკვეთს იმ მიზეზით, რომ ნაკვეთის ფართი რუსეთის მიერ იყო ოკუპირებული. რეალურად, მიწა საოკუპაციო ზოლის აქეთა ნაწილში იყო, შესაბამისად, 2019 წლის 6 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საჩივარი, ხოლო სააგენტოს საოკუპაციო ხაზთან მდებარე მიწის პირის საკუთრებაში დარეგისტრირება დაევალა.
- 2024 წლის 19 აპრილს გორის რაიონულმა სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა ადამიანის უფლებათა ცენტრის ადმინისტრაციული სარჩელი და გორის მუნიციპალიტეტის მერია დაჯარიმდა. ასევე, მას დაევალა სამშენებლო/ინერტული ნარჩენებისაგან სასაფლაოს მიმდებარედ 26000 კვ.მ.-ზე მეტი ტერიტორიის დასუფთავება. ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, ნაგავსაყრელის ლიკვიდაცია მნიშვნელოვანია, რადგან ის დასახლებული პუნქტის მახლობლად მდებარეობს და საფრთხეს უქმნის ადგილობრივ მოსახლეობას.
- 2020 წლის 23 აგვისტოს დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბისოსთან ახლოს, შატილის გზაზე მომხდარი ავარიის შედეგად, როცა 17 ადამიანი გარდაიცვალა და სამი მძიმედ დაშავდა, პროკურატურამ ადამიანის უფლებათა ცენტრის აქტიურობის შემდეგ მიანიჭა გარდაცვლილ პირთა ოჯახის წევრებს დაზარალებულის სტატუსი და დაიწყო დამნაშავე პირების ბრალდების პროცესი.
- ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტების ჩართულობით მოხერხდა არაერთი საპატრულო ჯარიმის ბათილად ცნობა, არაერთი შრომითი დავის დასაქმებულთა სასარგებლოდ გადაწყვეტა, აქციებზე დაკავებული პირების სამართლებრივი ინტერესების დაცვა და ა.შ.

დასკვნა

დემოკრატიზაციის პროცესში მყოფი ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები მუშაობენ ქვეყნის ეფექტიანი მმართველობის ჩამოყალიბებაზე, სიღარიბის აღმოფხვრაზე, კონფლიქტების მოგვარებაზე, არჩევნების სამართლიანობის უზრუნველყოფაზე, სამართლის უზენაესობაზე და მოქალაქეთა უფლებების დაცვაზე. ისინი უზრუნველყოფენ მოხელეთა ანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე. აქედან გამომდინარე, ავტორიტარულ სახელმწიფოებში საზოგადოებრივი ორგანიზაციები ხშირად რეპრესიების მსხვერპლნი ხდებიან. ამის მაგალითი რუსეთსა და ბელარუსში ორგანიზაციების შევიწროება და გაქრობაა.

სამწუხაროდ, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მედიების მიერ ასობით ძალადობის, კორუფციისა თუ უკანონობის მხილების საპასუხოდ, 2024 წელს საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობამაც მიიღო „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ რეპრესიული კანონი, რომელიც შინაარსობრივად რუსულია, რადგან ის ასეთივე ავტორიტარული მექანიზმების მეშვეობით ისახავს მიზნად კრიტიკული აზრისა და სიტყვის თავისუფლების ჩახშობას.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას მოქალაქეთა უფლებების დაცვას უთმობენ, წლების განმავლობაში ხელისუფლება ცდილობდა, რომ ასეთი ორგანიზაციების როლი საზოგადოებაში მცდარად ან ვიწროდ ყოფილიყო აღქმული. ამის მიუხედავად, მხოლოდ ადამიანის უფლებათა ცენტრის, როგორც ერთ-ერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის, საქმიანობის აღწერაც საკმარისია, რათა უფლებების დაცვაში, კანონის უზენაესობის განმტკიცებასა თუ ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეალური მნიშვნელობის დანახვა უფრო მარტივად იყოს შესაძლებელი.

ადამიანის უფლებათა ცენტრი წლების განმავლობაში სრულიად გამჭვირვალედ საქმიანობს და სამართლებრივ დახმარებას უსასყიდლოდ უწევს ათასობით მოქალაქეს, ის ჩართულია სასამართლო პროცესებისა და აქციების მონიტორინგში, რათა დააფიქსიროს, აღწეროს და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევებზე.

ცენტრის ჩართულობამ არაერთ გახმაურებულ საქმეში გამოიწვია მნიშვნელოვანი ძვრები, მაგალითად, ორგანიზაციის ჩართულობით მოხერხდა არაერთი სამოხელეო დანაშაულის მხილება. ასევე, სასამართლო გადაწყვეტილებებში ხარვეზების აღმოჩენის შემდეგ ან სისტემური პოლიტიკის შეცვლის მიზნით, ცენტრმა არაერთხელ მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. ორგანიზაცია დღემდე აგრძელებს ადვოკატირებას საგამოძიებო უწყებების დამოუკიდებლობის და გამჭვირვალობის გაზრდის, ქართული მართლმსაჯულების რეალური რეფორმისა და სისტემაში რეალური ცვლილებების განხორციელების, ასევე კონკრეტული რეკომენდაციების შესრულების საჭიროებასთან დაკავშირებით.